



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 388/ს  
04/10/2022

388-21-4-202210041613



### ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, შპს „თბილისი დრაი პორტის“ მშრალი ტვირთების ტერმინალის მშენებლობა-ექსპლუატაციის სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „თბილისი დრაი პორტის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. თბილისში სამგორის რაიონში შპს „თბილისი დრაი პორტის“ მშრალი ტვირთების ტერმინალის მშენებლობა-ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, შპს „თბილისი დრაი პორტის“ დაგეგმილი აქვს ქ. თბილისში სამგორის რაიონში ამავე კომპანიისა (ს/კ: 01.19.33.015.192, 01.19.33.015.050, 01.19.33.015.120, 01.19.33.015.195, 01.19.33.015.194, 01.19.33.015.219; 01.19.33.015.094, საერთო ფართობით 195546 მ<sup>2</sup>) და სახელმწიფო საკუთრებაში (ს/კ: 01.19.33.015.131, ფართობი - 45 მ<sup>2</sup>) არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ჯამში 195591 მ<sup>2</sup> ფართობი) მშრალი ტვირთების ტერმინალის მშენებლობა-ექსპლუატაცია. დოკუმენტის თანახმად, საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დასახლებული პუნქტი დაშორებულია 20 მეტრით. საპროექტო ტერიტორიას სამხრეთიდან ესაზღვრება ემირ ბურჯანაძის ქუჩა, რომელიც უერთდება გარდაბნის გზატკეცილს, ჩრდილოეთით ქინძმარაულის ქუჩა, დასავლეთით სასაწყობე სივრცეები და წმინდა ბარბარეს დასახლება, ხოლო აღმოსავლეთით რქაწითელის ქუჩა.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ყოფილ ინდუსტრიულ ზონას სადემონტაჟო შენობა-ნაგებობებითა და დაზიანებული სატვირთო რკინიგზის ჩიხით. ტერიტორიაზე მოხდება დაბინძურებული, დეგრადირებული ტერიტორიის აღდგენა ინდუსტრიულ ზონად და სატრანსპორტო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. დაგეგმილი საქმიანობა მოიცავს ფოთისა და ბათუმის საზღვაო პორტებში შემოსული ტვირთის რკინიგზით და ავტოტრანსპორტით შემოტანას თბილისის საპროექტო მშრალი ტვირთების ტერმინალში, სადაც შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სატრანსპორტო ოპერაციის ერთ ადგილზე განხორციელება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მშრალი ტვირთების ტერმინალი მიიღებს ნებისმიერ მშრალ არასახიფათო ტვირთს, რომლის იმპორტი ან/და ექსპორტი არ არის აკრძალული და

რომელიც განთავსებული იქნება ე.წ. პალეტზე. ტერმინალის ტერიტორიაზე დასაწყობდება ყველა ის პროდუქცია, რომელიც არ ითვალისწინებს სპეციალურ ტემპერატურულ რეჟიმს და მალფუჭებადი პროდუქციისათვის განკუთვნილ სპეციალურ პირობებს. დასაწყობებული პროდუქციის მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვრება სასაწყობე შენობის (შიდა მოცულობის) ტევადობის მიხედვით. ტვირთების სახეებიდან აღსანიშნავია ნებისმიერი პალეტიზირებული ტვირთი (ყუთებში ან სხვა სახის შეფუთვაში არსებული ტვირთი, რომელიც განთავსებულია რკინის, ხის ან პლასტმასის პლატფორმაზე), გარდა რეზინისა და პლასტმასისა, ისეთი როგორცაა სოფლის მეურნეობის პროდუქტი, დამამუშავებელი მრეწველობის პროდუქტები: კვების პროდუქტი, ტექსტილი, ქაღალდი, ავეჯი, კომპიუტერული, ელექტრონული და ოპტიკური ნაწარმი, საყოფაცხოვრებო ნივთები, მოწყობილობები, ავტოსატრანსპორტო საშუალების სათადარიგო ნაწილები და სხვ. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ ტერმინალის ტერიტორიაზე არაორგანიზებული გაფრქვევის წყაროების მქონე ტვირთების შეტანა არ არის დაგეგმილი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მშენებლობის ეტაპზე, ტვირთბრუნვის ტერმინალის მოწყობა დაგეგმილია სამ ეტაპად: I ეტაპზე მოეწყობა ორი რკინიგზის ლიანდაგი; B კლასის საწყობი; მექანიზაციის შენობა; საოფისე შენობა; ღია საკონტეინერო საწყობი (დიდი მოცულობის სათავსო არეალი) მინიმუმ 3000 კონტეინერისთვის; საბაჟო გამშვები პუნქტი და ორი დაცვის ჯიხური. II ეტაპზე - A კლასის საწყობი; ორი რკინიგზის ლიანდაგი; დიდი მოცულობის კონტეინერების სათავსო არეალი; ერთი დაცვის ჯიხური; საბაჟო გამშვები პუნქტი და მიწისქვეშა წყლის რეზერვუარები (მოცულობით 1000 ტ და 48 ტ). III ეტაპზე - მინიმუმ ერთი A კლასის საწყობი, დამატებითი რკინიგზის ხაზები (მე-5 ლიანდაგის სიგრძე - 254,7 მ; მე-6 არსებული სარეაბილიტაციო ლიანდაგის სიგრძე-767,4 მ) და გამწვანების სამუშაოები. ამასთან, ტერიტორიაზე დაგეგმილია მსუბუქი სატრანსპორტო საშუალებებისთვის (40 ავტომანქანა) და სატვირთო ავტომობილებისთვის (30 ავტომანქანა) ავტოსადგომების მოწყობა. სამშენებლო სამუშაოები განხორციელდება სამ ეტაპად. თითოეული ფაზის მშენებლობა გაგრძელდება 12 თვე, ჯამში სამშენებლო სამუშაოების ხანგრძლივობა შეადგენს 36 თვეს.

სკრინინგის განცხადებაში მოცემული ტექნოლოგიური სქემის თანახმად, მშრალი ტვირთების ტერმინალში განხორციელდება ტვირთების სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტით მიღება, ჩამოტვირთვა, დროებითი განთავსება-დასაწყობება, ამავე ტვირთების დატვირთვა და რეალიზაცია. დოკუმენტის შესაბამისად, ტვირთების 80% ტერმინალში შევა რკინიგზის საშუალებით, 20% ავტოტრანსპორტით, ხოლო ტერიტორიიდან ნაწილი გავა ავტოტრანსპორტით, ხოლო ნაწილი რკინიგზის საშუალებით. დღე-ღამეში ავტომანქანებით განხორციელდება სულ 8-10 სატრანსპორტო ოპერაცია. ერთდროულად მშრალი ტვირთების ტერმინალის ღია საწყობში შესაძლებელია განთავსდეს 3000 კონტეინერი, ხოლო 2 დახურულ საწყობში - 6000 ტონა ტვირთი. დოკუმენტში წარმოდგენილი გეგმის მიხედვით, პირველ წელს დაგეგმილია ტვირთბრუნვა 50 000 ერთეული კონტეინერის, ხოლო მეხუთე წელს მისი 125 000 ერთეულამდე გაზრდა. საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად უკვე არსებობს ასფალტის საფარის მქონე ცენტრალური საავტომობილო გზები, შესაბამისად, პროექტის ფარგლებში, ახალი მისასვლელი გზების მოწყობა საჭირო არ არის.

მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წყალი გამოყენებული იქნება სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით და სახანძრო უსაფრთხოებისთვის. სასმელ-სამეურნეო წყლით

უზრუნველყოფა დაგეგმილია წყალმომარაგების ქსელიდან, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სახანძრო უსაფრთხოებისთვის ტერიტორიაზე განთავსებული რეზერვუარებიდან. სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვებისთვის ტერიტორიაზე მოწყობა საკანალიზაციო კოლექტორი, რომელიც ასევე ხელშეკრულების საფუძველზე დაუერთდება არსებულ ქსელს. სახანძრო და სანიაღვრე წყლების ორგანიზებულად მართვის მიზნით გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიის ბეტონის ზედაპირის ქანობებით დაფარვა და ლოკალური წყალარინების სისტემის (ცხაურები, ჭები) მოწყობა. ტვირთბრუნვის ოპერაციების პროცესში ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები შეიკრიბება ნავთობდამჭერ სისტემაში და შემდგომ ჩაეშვება არსებულ წყალარინების ქსელში.

საპროექტო ტერიტორია დაბინძურებულია სხვადასხვა სახის სამშენებლო, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენებით. სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე დაზუსტება ტერიტორიაზე არსებული ნარჩენების რაოდენობები და შემუშავდება ნარჩენების მართვის გეგმა, რომლის შესაბამისად მოხდება მისი მართვა. საპროექტო ტერიტორიიდან აღნიშნული ნარჩენების გატანა (მართვა) განხორციელდება შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციების მიერ, პროექტით დაგეგმილი სამშენებლო ფაზების მიხედვით.

საპროექტო და მისი მიმდებარე ტერიტორიები ურბანიზებულია, რომელიც ათეული წლების განმავლობაში განიცდიდა მნიშვნელოვან ანთროპოგენურ ზემოქმედებას. საპროექტო ტერიტორიაზე განლაგებულია 698 ძირი ფოთლოვანი და წიწვოვანი მწვანე ნარგავი, მათ შორის 212 ძირი ხილ-კენკროვანია. აღწერილი ხე-მცენარეების ნაწილი, რომელიც ექვემდებარება გადარგვას გამოყენებული იქნება გამწვანების სამუშაოებისთვის. მცენარეების მოჭრა-გადარგვა მოხდება ქალაქ თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალური ნებართვის საფუძველზე.

საპროექტო და მიმდებარე ტერიტორია ხასიათდება მაღალი ანთროპოგენური დატვირთვით, შესაბამისად, ცხოველთა ველური ბუნების სახეობების საბინადრო ჰაბიტატები არ არსებობს. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, რაიმე შემარბილებელი ღონისძიებების გატარების საჭიროება ამ მხრივ არ არსებობს. ექსპლუატაციის ეტაპზე საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის და პროექტის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ტვირთბრუნვის ტერმინალის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება ძირითადად დაკავშირებული იქნება ტექნიკისა და საავტომობილო საშუალებების გადაადგილებასთან. ხმაურის გავრცელების შეზღუდვის კუთხით, დასახლებული ზონის მიმართულებით ტერიტორია შემოსაზღვრული იქნება 2,5 მ სიმაღლის ბეტონის ღობით, ხოლო ტერიტორიის ნაწილი შემოსაზღვრება გოფრირებული ღობით, ღამის საათებში ტერმინალზე იმუშავებს 1 მობილური ამწე.

სკრინინგის განცხადებაში შეფასებულია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე შესაძლო ზემოქმედება და აღნიშნულია, რომ საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილია ზოგიერთ მონაკვეთზე, რომლის სიმძლავრე არ აღემატება 0.05 მ-ს. „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ”

საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად, სამუშაოების დასრულების შემდგომ ნიადაგის ნაყოფიერი ფენის გამოყენება მოხდება საპროექტო ტერიტორიაზე დაზიანებული უბნების რეკულტივაციისთვის.

საპროექტო ტერიტორიიდან ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორია მდებარეობს დაახლოებით 5 კმ-ის დაშორებით სამხრეთ-დასავლეთით. საქმიანობის მასშტაბისა და მანძილის გათვალისწინებით ზემოქმედება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიაზე მოსალოდნელი არ არის.

კუმულაციური ზემოქმედების კუთხით დოკუმენტში განხილულია შპს „ბეტონკონსტრუქციას“ საკუთრებაში არსებული ბეტონის კვანძი. მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, ასევე შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში ხმაურით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ან ხმაურის ცვლილებით გამოწვეული უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო ტერიტორიიდან დასავლეთით დაახლოებით 1100 მ-ის დაშორებით მდებარეობს უახლოესი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი წმინდა ბარბარეს ეკლესია. დაგეგმილი საქმიანობის მშენებლობის მასშტაბისა და ექსპლუატაციის ტექნოლოგიური სქემის გათვალისწინებით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე ზემოქმედების რისკი პრაქტიკულად არ არსებობს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და სამგორის რაიონის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით, საზოგადოების მხრიდან წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

პროექტის მასშტაბისა და ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 9.2. და 9.3. ქვეპუნქტების საფუძველზე,

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, ქ. თბილისში სამგორის რაიონში შპს „თბილისი დრაი პორტის“ მშრალი ტვირთების ტერმინალის მშენებლობა-ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „თბილისი დრაი პორტი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „თბილისი დრაი პორტს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „თბილისი დრაი პორტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოსა და სამგორის რაიონის ადმინისტრაციული ერთეულის შენობის საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

*თ. ფიცხელაური*

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო